## ა(ა) ი პ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - თერჯოლის მოსწავლე - ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას, მათი თავისუფალი დროის სწორად, მიზანმიმართულად დაგეგმვას, ცოდნის შეძენას და პრაქტიკაში გამოყენებას.

**მიზანი:** მუნიციპალიტეტის დონეზე ცენტრის ახალგაზრდული პოლიტიკის სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა, პრიორიტეტების და ქვეპროგრამების შესაბამისობაში მოსწავლე-ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების, თვითრეალიზაციისათვის და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველყოფა.

დააქმებულია 40 საშტატო ერთეულზე 43 ადამიანი, ფლობს ორ შენობას, კოსტავას ქ. N3 და შოთაძის N4. საცდელ - სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთი 5369 $m^2$და სასათბურე მეურნეობა 50 $m^2$. სუფსიდია (გეგმით) 253 500.

,,ცენტრს'' აქვს თავისი სტრატეგიული გეგმა , ხედვა, მისია, მიზანი და გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ამოცანები, საქმიანობა ღია, გამჭირვალე და ხელმისაწვდომია, მუშაობს ,,ცენტრის'' fb-გვერდი სადაც მუდმივად მიეწოდება საზოგადოებას, დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიმდინერე მუშაობის, აქტივობების, ღონისძიებების და სხვა სიახლეების შესახებ, მუდმივად ხდება ინფორმაციის განთავსება ,,ცენტრის'' საინფორმაციო დაფაზე მოქმედი ბიუჯეტის, მისი ცვლილებების და ხარჯვის პროცესის შესახებ, მუშაობს გუნდურად, დელეგირების პრინციპით, ბიუჯეტის ადგენს საბიუჯეტო კომისია, რომელიც არჩეულია ღია კენჭისყრით, ინფორმაციები საჯარო და ხელმისაწვდომია, ტარდება პედსაბჭოები, საანგარიშო პრეზენტაციები. ,,ცენტრი" არის ნოვატორი, სიახლეების მაძიებელი, იგი ფეხს უწყობს ან წინ უსწრებს მოვლენებს, ცენტრის პოზიცია, იმიჯი, საქმიანობა, ცნობადი და მისაღებია, როგორც საზოგადოების, ისე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისათვის.

2022 წლის ცენტრის პროგრამული ბიუჯეტი გათვლილი იყო შედეგზე, დროზე, გაზომვადი ინდიკატორებით , შესაბამისი კონკრეტულ სასწავლო-შემოქმედებით ქვეპროგრამებთან, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და აქტივობებთან. რაც მოსწავლე-ახალგაზრდობას შესაძლებლობას აძლევს, მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება, მიიღოს ცოდნა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

პროგრამული ბიუჯეტიდან გამომდინარე ცენტრი მუშაობს 4 პრიორიტეტული მიმართულებებით:

1.სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ინტელექტუალური ცოდნის ამაღლება. მოიცავს 11 ქვეპროგრამას.

მოსწავლეთა თვითმმართველობის დარბაზი, დებატის, ბავშვთა უფლებების დაცვის, სასწავლო-შემოქმედებითი და საერთაშორისო პროექტების, ინდივიდუალური ინტელექტუალური კლუბი ,,ერუდიტი'', ინტელექტუალური კლუბი - ,,უხილავი ხილული'', თარჯიმანთა რუსულისა და ინგლისურის, გამოყენებითი ფიზიკის, ქართული ენის და საინფორმაციო ტექნოლოგიების შემსწავლელი კლუბები. რეგისტრირებული -221,

კლუბების საქმიანობები ქვეპროგრამების მიხედვით თავისი შინაარსითა და თემატიკით სრულიად შეესაბამება აღნიშნულ პრიორიტეტს. ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება დამოკიდებულია მაღალი თვითშეგნების და ინტელექტის მქონე პიროვნებების აქტიურობაზე. პროექტების მართვა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა, ინოვაციების წამოწყება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას ისახავს მიზნად.

2. სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეობისა და სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის და ბიოლოგიური გარემოს დაცვის ხელშეწყობა - 9 ქვეპროგრამა. აგრონომთა, ბიოეკოლოგთა , მეფუტკრეთა, საიუველირო ნაკეთობათა, გეოგრაფიის, თექა-გობელინის, საოჯახო- საყოფაცხოვრებო კულტურის, გამოყენებითი ეკონომიკისა და ქარგვის შემსწავლელი კლუბები. მათი სამოქმედო გეგმა - ქვეპროგრამები თეორიული და პრაქტიკული ასპექტებით ემსახურება სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო საბაზისო ცოდნის შეძენას, საჭირო უნარ- ჩვევების ჩამოყალიბებას,

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, სასკოლო ასაკიდანვე შრომისადმი დადებითად მიდგომას, რაც შრომისმოყვარეობისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას , სასკოლო ცხოვრების დამთავრების შემდეგ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, პატრიოტული განცდების გაძლიერებას ემსახურება.

3. კულტურული განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია - 5 ქვეპროგრამა. აღნიშნულ პრიორიტეტში შემავალი ქვეპროგრამები: ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების შემსწავლელი, მხატვრული კითხვის - ,,ნეკა'', კინომოყვარულთა - ,,ათინათი'' კლუბები, ქორეოგრაფიული ანსამბლი - ,,ბერიკონი" და ხალხურ საკრავთა ანსამბლი ,,იმედი'' ქართული კულტურის განვითარებას და პოპულარიზაციას ემსახურება. მოსწავლეების სათანადო მომზადება და ადამიანური რესურსების მართვის სწორი მიმართულებებით გადანაწილება ეროვნული მოტივებისა და ელემენტების შეყვარება, თაობებისადმი გადაცემა ამ პრიორიტეტში შემავალი კლუბების ძირითადი მიზანია და მათ მიერ გაწეული საქმიანობები საზოგადოების მოთხოვნაზეა ორიენტირებული.

4. თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდისათვის განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტების განხორციელებისათვის მუშაობს 24 კლუბი და ერთი წრე .

,,ცენტრში'' სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კლუბებისა და წრეების მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამებით (პროგრამები საავტოროა) და მიმართულებითი პრიორიტეტებით, რაც შესაძლებელს ხდის სამუშაო გარემო ადაპტირდეს არაფორმალური სწავლების თანამედროვე მოთხოვნებთან და მოხდეს ფორმალური განათლების შევსება არაფორმალური სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

,,ცენტრის'' სწავლა-აღზრდის კომპლექსური, უწყვეტი სისტემა ორიენტირებულია სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ხარისხის გაუმჯობესებაზე კომპეტენციების ფარგლებში. სასწავლო პროცესის მონიტორინგს და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას მენეჯმენტს უწევს სწავლების ხარისხის მართვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები.

,,ცენტრში" მოსწავლეთა რეგისტრაცია და მობილობა მიმდინარეობს სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა სურვილისა და შესაძლებლობების შესაბამისად, სწავლის უფლებით სარგებლობენ 6 წლის ასაკიდან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც საშუალება აქვთ რამდენიმე კლუბში გაწევრიანდნენ (არაფორმალური განათლების ფორმატის შესაბამისად). კლუბებსა და წრეებში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, მუდმივად მიმდინარეობს მოსწავლეთა ბაზის კონტროლი, ვინაიდან სასწავლო წლის მანძილზე ხდება როგორც მოსწავლეთა შემოდინება ისე გადინება. 2022 წელს კლუბებსა და წრეში რეგისტრირებული იყო 44 მოსწავლე, აქედან I საფეხურის მოსწავლეა 204, მეორე - 168, მესამე- 68, გენდერული ბალანსი გოგო - 262, ბიჭი - 178, ხოლო პროექტებში ჩართული სკოლებიდან გუნდური და ინდივიდუალური განაცხადებით 458 მოსწავლე.

საქმიანობის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია შესაძლო რისკ - ფაქტორები.

პანდემიის პირობებში შემლებისდაგვარდ მოინახა ყველა გზა და საშუალება გავმკლავებოდით შექმნილ პრობლემას, არ გაწყვეტილა მოსწავლეებთან კავშირი და სასწავლო პროცესის შენარჩუნება შესაძლებელი გახდა, მიუხედავად იმისა რომ არ გვქონდა საკუთრი ელექტრონული პროგრამა. თანამშრომლების პასუხისმგებლიანობის და პროფესიონალიზმის ხარჯზე სასწავლო პროცესის მართვა რთულ სიტუაციაში შესაძლებელი გახდა. პანდემია დასრულდა მაგრამ 2022 წელს ცენტრი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, კერძოდ რამდენიმე საჯარო სკოლების სასწავლო პროცესის ორ ცვლაზე გადასვლის გამო, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ცენტრში სასწავლო პროცესი

მორგებულია ორ ცვლიან სისტემაზე, მეცადინეობები მიმდინარეობს ჯგუფურად და ინდივიდუალურად.

,,ცენტრში" პერპექტიული გეგმისა და ქვეპროგრამების მიხედვით 2022 წელს განხორციელდა 123 სხვადასხვა ტიპის აქტივობა: საერთაშორისო, მუნიციპალური, საკლუბო, ინტეგრირებული აქტივობები, გამოფენები, კონკურსები, ინტელექტუალური და დებატ თამაშები, არჩევნები, სხდომები, ფილმების ჩვენება-ფასილიტაცია, კონფერენციები, კლუბების შემაჯამებელი აქტივობები, გადაღებულია ფილმი, დაიდგა სპექტაკლი, პედაგოგთა დახელოვნების მიზნით ჩატარდა ტრენინგები. სულ აქტივობებში ჩართული იყო 2730 ადამიანი (მოსწავლე, პედაგოგი, მშობელი, საზოგადოების წარმომადგენელი), მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნებში ამომჩერჩევლის სტატუსით -1230, მაყურებელი 1220.

ქრონოლოგიურად მოკლე შინაარსით წარმოგიდგენთ ,,ცენტრის" მიერ განხორციელებულ მუნიციპალურ აქტივობებს და სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობის და მიღწევების შესახებ.

8 თებერვალს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიმართა ონლაინ ფორუმი ,ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან".

16 თებერვალს ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,იმედმა" მონაწილეობა მიიღო მუნიციპალურ ღონისძიებაში- აგვისტოს ომის გმირის-ალია ბარდაველიძის მემორიალის გახსნაზე სოფელ ზედა სიმონეთში.

4 მარტს ,,ცენტრმა" - ,,მე ზეთისხილის რტოს მოგიტან"....მშვიდობიანი და თანალმობის, თანადგომის, მხარდაჭერის გზავნილები ,,გაუგზავნა" უკრაინელ თანატოლ ბავშვებს.

10 მარტი - ტრენინგ სემინარი თემატიკით:

1. არაფორმალური განათლება-სწავლების ეფექტური გზა თანამედროვე მეთოდებითა და სათანადო რესურსით.

2. ტრენინგ სესიის დიზაინი, აუდიტორიის მართვა.

4. სიმულაციური თამაში- პროექტების დაგეგმვა და მართვა.

22 მარტი -,,ქალთა მუზეუმში" ფოტოისტორიებით გაცოცხლებული 10 ქალის პორტრეტი რომლებმაც ღირსება ყველაფერზე მაღლა დააყენეს და საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს მიუძღვნეს შთამბეჭდავად იყო წარმოადგინილი.

აპრილიდან კოვიდ რეგულაციების მოხსნის შემდეგ ,,ცენტრის" მუშაობა გადავიდა აქტიურ ფაზაში რაც აისახა განხორციელებულ აქტოვობებში.

9 აპრილი - ..ვინ გამიმეტებს არ ვიცი, ვინ მომერევა ვიცი" ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია.

13 აპრილი - დედაენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოიზიცია ,,წიგნი - ბურჯი ერისა" რომელშიც ჩაერთო და თემატური გამოფენა მოაწყო სამხატვრო სკოლამ.

10 მაისი - ,,ცენტრი" თანამშრომლობს მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრებთან, წელს დღის ცენტრ ,,საპოვნელა"-ს აქტივობაში_,,მეზღაპრე ერთი დღით" ჩაერთო, რაც გულისხმობს ცენტრის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების წევრების ჩართულობას და ბავშვებისათვის სხვადასხვა ზღაპრის გმირების თავგადასავლების თხრობას.

23 მაისი -ფიზიკოსთა კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკა: ,,სიმძიმის ძალა," ,,ნობელის პრემიის მფლობელები ფიზიკაში," ,,აღმოჩენები ასტრონომიაში," ,,ხელოვნური გული," ,,აღმოჩენები მედიცინაში" ,,ნიუტონის აღმოჩენები," ,,ერთეულთა სისტემა" ,,შავი ხვრელი," ,,რადიოტალღები." გამარჯვებულს გადაეცა დიპლომი და წიგნი, მონაწილეებს სიგელები.

22 მაისი ბიომრავალფეროვების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ფილმი ,,ადამიანი რომელიც ხეებს რგავდა" ჩვენება-ფასილიტაცია. აქტივობა განხორცილდა საჯარო სკოლების ჩართულობით.

25 მაისი კულინარიული კონკურისის ,,მხიარული სამზარეულო" ფინალი. კონკურსში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 9 საჯარო სკოლა. გამარჯვებული გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და წიგნებით.

1 ივნისი - მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა ღონისძიებით- ,,შენ გიგალობ, შენ გიმღერი" რომელიც თემატურად

სხვადასხვა აქტივობებით იყო დატვირთული, ბაღების, დღის ცენტრების და სამხატვრო სკოლის ჩართულობით, დავით კლდიაშვილის სახელობის სკვერში გაიმართა.

2 ივნისს ქუთაისის აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამოქალაქო საზოგადოების რეგიონალურ ფორუმში მონაწილეობდა ,,ცენტრის'' სახელოვნებო კლუბების პედაგოგები.

2 ივნისი - მეფუტკრეთა და აგრონომთა კონფერენციაში თემით ,,სამკურნალო თაფლოვანი მცენარეები და ფუტკრის როლი ადამიანების და ჯანმრთელობისათვის საჭირო პროდუქტების მიღების საქმეში." მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლის ექვსი მომხსენებელი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით და წიგნებით. დანარჩენ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები აქტიური ჩართულობისათვის.

6 ივნისი - სპექტაკლის პრემიერა, დაიდგა გივი ჭიჭინაძის პიესა ,,იისფერა". პატარებმმა ლამაზად უთხრეს მაყურებელს რომ მეგობრობა, სიყვარული, თანადგომა, სიკეთის ქმნა უპირველესია, რაც აკეთილშობილებს ადამიანს და ყველა დაბრკოლების გადალახვაში ეხმარება.

7 ივნისი -ინდივიდუალური ინტელექტუალური კლუბის ,,ერუდიტი'' ფინალი ორ ასაკობრივ ჯგუფში. ,,ერუდიტის'' შესარჩევ ტურის თამაშებში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლის 315 მოსწავლე, საიდანაც შეირჩა ფინალისტები. პირველ ასაკობრივ ჯგუფში 24 ხოლო მეორე ასაკობრივში - 21 მოსწავლე. ფინალში გამარჯვებულ 6 მოსწავლეს გადაეცა დიპლომები, წიგნები ხოლო მონაწილეებს სიგელები.

8 ივნისი - ლიტერატურული კონკურსი ,,მომავლის თაობა" წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან 12 თემა. კონკურსის ჟიურმა გამოავლინა 3 გამარჯვებული I,II, III ადგილი და ნომინაციებში ,,განსხვავებული ხედვა",,ორიგინალური ჩანაფიქრი" გამარჯვებულები. სამ გამარჯვებულ მოსწავლეს გადაეცა საჩუქრად წიგნები

9 ივნისი -ინტელექტუალური თამაში ,,ქართული კინო თაობებს აერთიანებს'' - პროექტი ქართული კინოს პოპულარიზაციასა და თაობათა შორის კომუნიკაციის განმტკიცებას ემსახურება. პროექტში მონაწილეობდა 6 გუნდი. გაიცა ფასიანი საჩუქრები (გამარჯვებულ გუნდს გადაეცა პრიზი და საუკეთესო შეკითხვის ავტორს წიგნი) მონაწილე გუნდებს გადაეცათ სიგელები.

ოქტომბრიდან დაიწყო განხორციელება და 2023 წელსაც გაგრძელდება პროექტები საჯარო სკოლებთან: ,,აქტიური მოქალაქეები" და ალტერნატიული საქმიანობის პროგრამის ფარგლებში საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები.

17 ნოემბერი- ,,ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ'' გალაკტიონის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი პოეზიის შუადღე. მეფე პოეტისადმი მიძღვნილი შუადღეზე მოსწავლეებთან ერთად სიამოვნებით წაიკითხეს პოეტის ლექსები დამსწრე პედაგოგებმა და კედევ ერთხელ გაიხსენეს გალაქტიონის შესახებ საინტერესო ამბები და მოგონებები.

18 ნოემბერს ჩატარდა მოსწავლეთა თვითმართველობის ,,დარბაზის" არჩევნები 20 საჯარო სკოლაში, არჩევნების შედეგად არჩეულია 29 დარბაზის ძირითადი 29 და 30 ადგილმონაცვლე წევრი.

20 დეკემბერს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა თვითმართველობის ,,დარბაზის" სხდომა, სადაც ცნეს არჩეული წევრების უფლებამოსილება და აირჩიეს ,,დარბაზის" თავმჯდომარე და მოადგილე.

27 დეკემბერს ცენტრის კლუბების მიერ მოეწყო საახლწლო ღონისძიება. ღონისძიების დასრულების შემდეგ მონაწილე და მაყურებელ ბავშვებს დაურიგდათ ტკბილეული.

წარმატებულად მონაწილეობს ცენტრის კლუბები საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში, ფესტივალ-კონკურსებსა და საანგარიშო კონცერტებზე. კლუბების წევრები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, სიგელებით, კოორდინატორებს მიენიჭათ შესაბამის სპეციალობაში ტიტულები.

ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის გამოცხადებულ მედიაწიგნიერების კონკურსში ,,ნამდვილი და ყალბი ამბების გარჩევა მედიაწიგნიერების საშუალებით" (წარდგენილი იყო ხუთი თემა), კონკურსის ორგანიზატორების მიერ აღინიშნა ჩვენი მოსწავლეების მაღლი დონის ნაშრომების შესახებ და ჟიურის გადაწყვეტილებით მხოლოდ მათთვის დაამატეს და გადასცეს მონაწილეებს ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით.

30 აპრილი - ახალგაზრდა შემოქმედთა ხელოვნების ფესტივალზე „CAUCASUS CUP – 2022“ მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,ბერიკონმა".

MAC Georgias და ,,რადიო თავისუფლების" მიერ გამოცხადებული კინო კონკურსში წარადგინილი იყო კინო კლუბის მიერ გადაღებული ფილმი ,,ჩემიდან თქვენამდე".

ა(ა) ი პ თბილისის ეროვნული სასახლის მიერ გამოცხადებულ სამეცნიორო-კვლევით კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო და თემები დაამუშავა ,,ცენტრის" კლუბებმა ( აგრონომთა, მეფუტკრეთა და გამოყენებითი ფიზიკის შემსწავლელი), კონფერნციის დასკვით ეტაპზე წარმატებულად დაიცვა თემა აგრონომთა კლუბის წევრმა ზურა ჩიტიძემ.

ქუთაისის კულტურულ-სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თაოსნობით გამართულ რესპუბლიკურ კონფერენციაში ,,საქართველო კულტურული ვაზისა და ღვინის სამშობლო" სისტემატიური ჩართულობისათვის და აგრონომთა კლუბის წევრის მიერ საუკეთესო თემის წარდგინებისათვის მოსწავლე ლიზი გაბეხაძე და კლუბის კოორდინატორი დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და თემატური ლიტერატურით.

ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ბერიკონი" წლის საანგარიშო კონცერტში მონაწილეობისა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით და მიენიჭა ,,საბავშვო სახალხო ანსამბლის" წოდება, ანსამბლის ხელმძღვანელებს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის წლის ამაგდარი ხელოვანის წოდება და საპატიო სიგელები გადაეცათ.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022-ის ლაურეატები გახდნენ ხათუნა გურული (თექა-გობელინის შემსწავლელი კლუბის კოორდინატორი) და ანა გოგიაშვილი (ქარგვის შემსწავლელი კლუბის კოორდინატორი).

ესპანეთში N STUDIA-ს ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს წარმომადგენლობამ მონაწილეობა მიიღო ფიესტალონიის სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის საერთაშორისო ფესტივალში - „კოსტა ბრავას ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ,,ცენტრის" თექა-გობელინის კლუბის წევრებმა ლანა ჭანტურიძემ და ნინი ქაშაკაშვილმა რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით.

,,ცენტრი" მუდმივად თანამშრომლობს პრესასთან, ადგილობრივ გაზეთ ,,თერჯოლაში" სისტემატურად შუქდება ,,ცენტრის" აქტივობები.

სოც ქსელში გახსნილია Facebook გვერდი ( გამოქვეყნებულია მასალები, რომლის შინაარსი მოიცავს როგორც ინფორმაციულს ისე გაწეული მუშაობის შედეგებს) , რამოდენიმე კლუბს გახსნილი აქვს საკუთარი Facebook გვერდი, რომელთა ანალიზები ერთგვარი მონიტორინგია და გვეხმარება მუშაობის სწორად დაგეგმვაში. სოც ქსელში შექმნილია დახურული ჯგუფები და აქტიურადაა გამოყენებული საკომუნიკაციოდ.

ა(ა)ი პ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება
თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის
სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და
ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური
ცენტრის დირექტორი: ნინო ოქრუაძე

231949407